12/11/2021

საპატრიარქო ასი ათასი მოწამის ხსენების დღესთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს

საპატრიარქო ავრცელებს ინფორმაციას ასი ათასი მოწამის ხსენების დღესთან დაკავშირებით.

„13 ნოემბერი, ასი ათასი მოწამის ხსენების დღე, წელს პანდემიის გამო მასშტაბურად არ აღინიშნება. თუმცა დილით, 10:00 საათზე ჩატარდება ორი წირვა 100 000 მოწამის და წმ. აბო თბილელის სახელობის ტაძრებში, ხოლო 13:00 საათზე გადახდილი იქნება პარაკლისი მეტეხის ხიდზე.

წმინდა 100 000 მოწამის მეოხებით ღმერთმა მშვიდობა მომადლოს ჩვენს ქვეყანას და თითოეულ ჩვენს მოქალაქეს“, – აცხადებენ საქართველოს საპატრიარქოში.

1tv.ge